

სანდრო შანშიაშვილი

ს. შანშიაშვილი დაიბადა 1888 წლის 24 ივლისს (ძვ.13 ივლისი) გურჯაანში მღვდლის ოჯახში. პირველადი დაწვებითი განათლება სოფელ ტიბაანში ხირსის მონასტრის სამრეკლო სკოლაში მიიღო, საიდანაც თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადმოიყვანეს. მოგვიანებით კი თბილისის ქართულ გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა, სადაც აქტიურად გამოსცემდა არალეგალურ ჟურნალს, რის გამოც დააპატიმრეს ნახევარი წლით და 7 კლასის მოწმობით გაათავისუფლეს გიმნაზიიდან.

1911 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ შვეიცარიაში, სადაც დაჰყო ერთი წელი. ისწავლა გერმანული ენა. მოგვიანებით გადავიდა გერმანიაში, ჯერ ბერლინში და შემდეგ ლაიპციგში. იყო თავისუფალი მსმენელი ლაიპციგის უნივერსიტეტში.

1914 წელს დაბრუნდა საქართველოში და გამოსცა გაზეთი “საქართველო” და ჟურნალი “მერანი”.

სარედაქციო კოლეგიასთან უთანხმოების გამო, წამოვიდა ორივე რედაქციიდან, ასევე მიატოვა თბილისი და საცხოვრებლად გადავიდა სოფელში, სადაც სასოფლის სამეურნეო საქმეს მიჰყო ხელი.

სოფლად 1923 წლამდე დაჰყო. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნითა და დავალებით კვლავ დაბრუნდა თბილისში და ჟურნალ “დროშაში” 1928 წლამდე მუშაობდა.

ს. შანშიაშვილის სამწერლო ასპარეზზე 1905 წელს გამოვიდა. წერდა ლექსებსა და პოემებს, ხან საკუთარი გვარით, ხან ფსევდონიმით, მაგრამ აქტიური მუშაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წლიდან დაიწყო.

ს. შანშიაშვილს დაწერილი აქვს 12 ტომამდე ორიგინალური და ამდენივე რაოდენობის რუსულიდან და გერმანულიდან ნათარგმნი პიესები. წლების მანძილზე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

1920 წელს, დრამატურგიის განხრით, საქართველოს ხელისუფლებამ დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1935 წელს კი საპატიო ნიშნის ორდენით.

ს. შანშიაშვილის სამწერლო ასპარეზზე განვლილი გზა 49 წელს ითვლის. დაწერილი აქვს ლექსებუი, პოემები, მოთხრობები და უმთავრესად დრამატურგიული ნაწარმოებები. გამოსულია წიგნები, როგორც ლირიკა, აგრეთვე პიესების კრებული.

ს. შანშიაშვილის ორიგინალური და ნათარგმნი პიესებია: “შეგების თავადი” (1911 წ.), “უგვირგვინო მეფენი” (1912 წ.), “სულამიტ” (1913 წ.), “ბერდო ზმანია” (1915 წ.), “სპარტაკი” (1923 წ.), “ჰერეტიც გმირები” (1925 წ.), “ამბოკარი” (1923 წ.), “ანზორ” (1927 წ.), “სამნი” (1928 წ.), “ლატავრა” (1928 წ.), “ენთუზიასტები” (1929 წ.), “ყამირი” (1930 წ.), “არსენა” (1935 წ.), “ფოლადური” (1937 წ.) და სხვა.

ს. შანშიაშვილი გარდაიცვალა 1979 წლის 28 ოქტომბერს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

სანდრო შანშიაშვილის პირადი საარქივო ფონდი

(მწერალ - დრამატურგი)

ავტობიოგრაფია

1. სანდრო შანშიაშვილის ავტობიოგრაფია.
1944 წ. 6 იანვარი. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. 2 გვ.
2. ს. შანშიაშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.
3. ს. შანშიაშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

კადრების აღრიცხვის და სარეგისტრაციო ფურცელი

4. ს. შანშიაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 26 ივნისი. ლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ერთვის ფოტო. 4 გვ.
5. ს. შანშიაშვილის მწერალთა კავშირის პირადი ფურცელი.
1952 წ. 20 სექტემბერი. ლანკი. ნაბეჭდი. 4 გვ.
6. საავტორო უფლებების დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული ს. შანშიაშვილის სარეგისტრაციო ფურცელი.
1954 წ. 15 მარტი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

დახასიათება

7. მწერალთა კავშირის მდივნის ი. აბაშიძის მიერ გაცემული ს. შანშიაშვილის დახასიათება.
1944 წ. 8 იანვარი. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. რუსულ ენაზე. 3 გვ.

ცნობები

8. სათეატრო ნაწილის უფროსის მიერ გაცემული ცნობა ველისციხის თეატრის კომისარისადმი, ს. შანშიაშვილის ველისციხის თეატრის რეჟისორად დანიშვნის შესახებ.
1921 წ. 11 აგვისტო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. შვი მელანი. 2 გვ.
9. საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, 1964 წლის 1 ოქტომბრამდე ჰონორარის (1438 მან.) გაცემასთან დაკავშირებით.

1964 წ. 29 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

მიმართვები

10. განათლების სახალხო კომისარიატისა და რუსთაველის თეატრის დირექციის მიმართვა ს. შანშიაშვილისადმი, თეატრში მომხდარ უსიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით.

1932 წ. 9 ნოემბერი. თფილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

11. ს. შანშიაშვილის მიმართვა თბილისის ოპერის თეატრის დირექტორ მაისურაძისადმი, ოპერა “ვეფხისტყაოსნის” ლიბრეტოს შეცვლასთან დაკავშირებით.

პირი: დ. არაყიშვილი, ალ. წუწუნავა.

1940 წ. 21 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

განცხადება

12. ს. შანშიაშვილის განცხადება თბილისის სამაზრო სასამართლოს პროკურორისადმი, თბილისის ოპერის სცენაზე ოპერა “ლატაერას” დადგმისთვის თანხის გადახდის შესახებ.

პირი – ზ. ფალიაშვილი.

1928 წ. 24 იანვარი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

პირობის ხელწერილი

13. თბილისის ოპერისა და ბალეტის დირექციის პირობის ხელწერილი, ს. შანშიაშვილისადმი [როგორც ოპერა “ლატაერას” ლიბრეტოს ავტორისადმი] თანხისა და მუდმივი ერთი ბილეთის გაცემის შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – ა. ხოფერია, ს. შანშიაშვილი. 1 გვ.

სამემორიალო ორდერი, ოქმები

14. სამემორიალო ორდერი და ოქმიდან ამონაწერი, ს. შანშიაშვილის პიესის “მათრახის პანაშვიდის” შესყიდვის შესახებ.

1925 წ. 18 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ფანქარი. 3 გვ.

15. ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართული დრამატურგ ალ. შანშიაშვილის დაბადებიდან 60 წლის იუბილეს აღსანიშნავი საღამოს სხდომის ოქმი.

1948 წ. 18 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

ჩანაწერი

16. ს. შანშიაშვილის სავარაუდოდ “ლატაერას” ლიბრეტოს ჩანაწერის ნახევი.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ფურცლის ნახევი. 3 გვ.

სტატიები

17. გაზეთ “საბჭოთა ხელოვნებიდან” ამობეჭდილი ნ. ვინიკოვის სტატია – “ახალი წარმატებები საბჭოთა დრამატურგიაში” ს. შანშიაშვილის შესახებ.
1949 წ. 10 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
18. “ლიტერატურული გაზეთიდან” ამობეჭდილი ს. მიხალკოვის სტატია – “პატრიოტული დრამატურგია” ს. შანშიაშვილის შემოქმედების შესახებ.
1949 წ. 10 არილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

სია

19. ს. შანშიაშვილის პიესების სია.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

მოსაწვევი ბარათი

20. ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამართული მწერალ-დრამატურგ ს. შანშიაშვილთან შეხვედრის მოსაწვევი ბარათი.
1948 წ. 18 ოქტომბერი. შტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 2 გვ.